არმიელები კვლავ იმარჯვებენ

თბილისის “დინამოსა” და ოფიცერთა საოლქო სახლის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის წელს ორი ამხანაგური მატჩი გაიმართა. არმიელთა გუნდმა ორივე თამაშში მაღალი ოსტატობა გამოავლინა და ერთნაირი ანგარიშით 1:0 ორჯერ დაამარცხა ძლიერი მოწინააღმდეგე.

9 ივლისს ოსტატები კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველ წუთებიდანვე მოედანზე გაჩაღდა დაძაბული, საინტერესო ბრძოლა. რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს “დინამოს” თავდამსხმელებმა, მაგრამ ჯოჯუა ახლო მანძილიდან ორჯერ ურტყამს არაზუსტად. მე–10 წუთზე არმიელთა ერთ–ერთი საპასუხო შეტევის დროს “დინამოს” მცველმა სარჯველაძემ უყურადღებოდ მიაწოდა ბურთი გოლიდან გამოსულ კიტიას და ბურთი საკუთარ კარში გაიტანა.

მარცხს დინამოელებმა მედგარი იერიშებით უპასუხეს. რამდენჯერმე სახიფათოდ ურტყამს ნახევარმცველი პანიუკოვი. 23–ე წუთზე პანიუკოვმა ოსტატურად ჩააწოდა ბურთი კარის წინ, სადაც მახარაძემ ახლო მანძილიდან ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

მეორე ტაიმის პირველ წუთებში დინამოელები უტევდნენ, მაგრამ ოფიცერთა სახლის ფეხბურთელებმა მაინც შესძლეს უპირატესობის მოპოვება. 55–ე წუთზე ნაზაროვი სწრაფად გაუსხლტა სარჯველაძეს და ძლიერად დაარტყა კარში. ბურთი კიტიას მოხვდა ფეხში და ბადეში შევარდა. დინამოელებმა ცენტრიდან დაიწყეს თამაში. ერთი წუთის შემდეგ მახარაძე შეუჩერებელი დრიბლინგით გაუსხლტა მოწინააღმდეგის მცველებს და მეორე ბურთი გაიტანა – 2:2.

არმიელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს იერიშები. თავდამსხმელები სწრაფი კომბინაციებით გადიოდნენ მოწინააღმდეგის კართან და ყოველ ხელსაყრელ მომენტს იყენებდნენ კარში დარტყმისათვის. 73–ე წუთზე ნორაკიძემ მარჯვენა ფრთიდან მიაწოდა კუთხური. წინ გამოსვლის ნაცვლად კიტია ბურთს კარის ხაზზე დახვდა და ძლიერი გარტყმით იგი ბადეში გაგზავნა.

დარჩენილ დროში დინამოელთა უსისტემო, ჯგუფურ იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია. ამრიგად, მატჩი დამთავრდა თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა სასარგებლოდ ანგარიშით 3:2.

რ. ქორიძე
13 ივლისი, 1952 წ.